დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მედეა ქოქრაშვილი- ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ნინო შუბლაძე -ზოგადი განათლების უზრუნველყოფიდ ექსპერტი -წევრი;
მალხაზ შატბერაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
სოფიკო სიუკაევა- საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერებათ საგნობრივი ექსპერტი. წევრი;
ხათუნა წიკლაური-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
ლამარა დარახველიძე-ესთეთიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
ჟანა ბელქანი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
მაკა ინაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
ნინო გორგილაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი;
მაკა ნატროშვილი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224617519

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახმეტის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	0900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi-admin.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ZemoAlvani2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ტელეფონი არ აქვს (სკოლის დირექტორი 591012710)

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 16 მაისის ბრძანება MES 0 25 0000536068 საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 23 და 24 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი. 4 შენობა-ნაგებობა.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი. 4 შენობა-ნაგებობა.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ალვანი. 4 შენობა-ნაგებობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო პროგრამა

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---400----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლ და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ა მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების*	***1.რეკომენდირებულია*** *სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები საევაკუაციო გეგმის წარმოდგენასთნ დაკავშირებით - ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.* ***2. რეკომენდირებულია*** *სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადები შესაბამის უფლებამოსილი უწყებისთვის მიმართვის გაგზავნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.* ***3. რეკომენდირებულია*** *სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადები შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება და შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო)2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.* ***4.რეკომენდირებულია*** *სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადები შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შემთხვევაში) სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას,	*ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.*
ინდიკატორი 3.5.1.1.	*სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს*	***რეკომენდირებულია** სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადები სკოლის რეაბილიტაციის შემდგომ საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის , საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზების მოსაპოვებლად 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვის არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობ ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებ შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლ და სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ შემთხვევაში) სკოლა უზრუნველყოფ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.*	1.*სასურველი სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სერტიფიცირებული სპეციალისტი, რათა სრულად იყოს დაცული სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება.*

ინდიკატორი N.3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალურიდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების საფუძველზე, თუ სკოლა ითხოვს მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას(მოთხოვნილი რაოდენობა 400 მოსწავლე), უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის არსებობა სკოლაში.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	<u>**რჩევა**</u>
ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	<u>**მატემატიკა**</u> სასურველია, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამ სვეტებში ზუსტად იყოს დატანილი ინფორმაცია. კერძოდ III კლასის მათემატიკ კურიკულუმში დაკორექტირდეს „კონტექსტ-მაგალითის“ შესაბამისი სვეტი, ასე გადაიხედოს თემა „გეომეტრიული ფიგურების“ შესაბამისი სამიზ ცნება/ქვეცნებების ველი და შეივსოს იმ ცნებებით/ქვეცნებებით, რომლებ კონკრეტული საკითხის განხილვისას მუშავდება. <u>**დაწყებითის**</u> **ბუნების** მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები.

ინდიკატორი N.2.1.2.3.	*.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	**<u>მათემატიკა</u>** -სასურველია, მათემატიკის II და VI კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელს მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. **<u>სპორტი</u>**-სასურველია, 1-4 კლასების კურიკულუმებში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, **<u>დაწყებითი საფეხურის</u>** **<u>ყველა საგანში</u>** შემუშავდეს კურიკულუმ დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიო გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან (გათვალისწინებულიიქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***<u>დაწყებით საფეხურზე</u>*** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე.
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	სასურველია, რომ **<u>მათემატიკის</u>** II და VI კლასის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითო ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენე სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გააუმჯობესებ კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევ კულტურას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ***საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** ***საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა***	**<u>რჩევა</u>**
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	**<u>მათემატიკა</u>**სასურველია, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას ჩაერთოს მოსწავლეებიც; ეს გაზრდის მოტივაციას და დაეხმარება მოსწავლეებს სასწავლო მიზნების უკეთ გაცნობიერებაში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ***<u>დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა</u>***	**<u>რჩევა</u>**

	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	<u>ესთეტიკური აღზრდა</u> - შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* *საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* *საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	<u>უცხოური ენები</u> სასურველია, რომ პირველ და მეორე უცხოურ ენებში, განხორციელდეს მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს მოახდინონ მოსწავლეთა შედეგების შეფასე გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოკვეთონ მათი საჭიროებები და გაანალიზებული საჭიროებების საფუძველზე, დაგეგმონ რელევანტური აქტივობები და შეიტანონ საგნობრივ კურიკულუმში. <u>**სპორტი:**</u> სასურველია გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.

ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	<u>**უცხოური ენები**</u> სასურველია, რომ პირველ და მეორე უცხოურ ენებში, კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რათა მოხდეს მათ შორის არსებული კორელაციის დემონსტრირება. კერძოდ, 1.წარმოდგენილ კურიკულუმში წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი). 2. გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს მკაფიო და ზუსტი. 3. სრულყოფილად იყოს ასახული შემოქმედებითი პროდუქტ დავალების პირობა და ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი.
ინდიკატორი N.2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმი გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა*	<u>**ესთეტიკური აღზრდა**</u> სასურველია, კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორი N.2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*<u>უცხოური ენები</u> - სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში, დაიხვეწ მოსწავლეთა მზაობისა და ინტერესების მიხედვით შექმნილი დიფერენცირებულ სწავლების ინსტრუმენტები და მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანი, რ მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობების ნაცვლად, თავად აირჩი კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორ დავალების ტიპი ან ამ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	<u>**უცხოური ენები-**</u> სასურველია, რომ პირველ და მეორე უცხოურ ენებში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, ნათლად აისახოს კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც , თავის მხრივ დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და ნათლად დააკონკრეტოს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. 2. სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, პირველ და მეორე უცხოურ ენებში, კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების

		ინსტრუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზნებზე მიმართული ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელიც კვლავ თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია კათედრა შეიმუშავოს განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კონკრეტულ საკითხთან/საკითხებთან მიმართებაში ,სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებების შესაბამისად **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია ესთეტიკური აღზრდის კათედრამ , სკოლის მიერ შემოთავაზებულ მოსწავლეთა შეფასის სიტემაში უპირატესობა მიანიჭოთ არა საშინაო, არამედ მიმდინარე საკლასო, და შემაჯამებელი დავალებებს **მათემატიკა** - სასურველია, რომ სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვის წინასწარვე შეიქმნას შეფასების რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებულ იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისა მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმ შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით (ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	**მათემატიკა** - სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.
ინდიკატორი N.2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	**უცხოური ენები** - პირველ და მეორე უცხოურ ენებში, შეფასების ვალიდურობ უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, დეტალურა აღიწეროს ზუსტად ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. ნათლად იყოს ასახულ თუ რა მოლოდინია მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთა მიმართებით და განისაზღვროს რამდენად სწორადაა შერჩეული შეფასებ აღმწერები კრიტერიუმებში.

		<u>მათემატიკა</u> - სასურველია, რომ სასწავლო წლის ან სემესტრის დაგეგმვისას მასწავლებლებმა წინასწარ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ იქნება მიბმული სასკოლო კურიკულუმში გაწერილ თემებზე. რეკომენდებულია, რომ ეს რუბრიკები შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, შეიცავდეს კონკრეტულ ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებს.
ინდიკატორი N.2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	**მათემატიკა** - ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება, სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ 2025 წლის 21 ივლისს წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, კორესპონდენცია MES 3 25 0000893362. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, სადაც ასახულია განსახორციელებელი აქტივობების ვადები(ერთწლიანი) , რის შედეგადაც შეიცვალა ზოგიერთი კომპონენტის შეფასება.

ინდიკატორი 3.4.1.1.

ა) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია უფლებამოსილ უწყებასთან შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა; მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

ბ) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

გ) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 3.4.1.1. შეაფასა მეტწილად შესაბამისად.

ინდიკატორი: 3.5.1.1. *სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია სკოლის რეაბილითაციის შემდგომი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება, საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზების მოპოვება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.*

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 3.5.1.1. შეაფასა მეტწილად შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლამ ჩამოაყალიბა მისია და ხედვა, რომელიც დამაკმაყოფილებლად ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მთავარ პრინციპებს. დოკუმენტში მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის ძირითადი მიზნები, მოქმედების გზები და ღირებულებები, რაც ქმნის მთლიანობის განცდას და გვიჩვენებს სტრატეგიულად ჩამოყალიბებულ საგანმანათლებლო ხედვას. მისიაში მკაფიოდ ჩანს ფოკუსი მოსწავლეზე, დემოკრატიული და ეროვნული ღირებულებები, თანამშრომლობა ოჯახთან, პიროვნული და სოციო-კულტურული განვითარება. მისიის მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა, სადაც ორიენტაცია აღებულია განვითარების უწყვეტობაზე ,ინდივიდუალურ მიდგომასა და დიფერენცირებაზე, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და პატრიოტიზმზე.
აღნიშნული კი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:პატრიოტიზმი, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.სსიპ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლის მისია და ხედვა სრულად პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა კარგად ასახავს თავისი საქმიანობის სტრატეგიულად დაგეგმილ ხედვას და ადგენს მკაფიო მიმართულებებს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნიდან დაწყებული, ღირებულებითი განათლების გაძლიერებით დასრულებული.სკოლის ფილოსოფია დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი უნარ-ჩვევები და მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ამ პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება და ხელმძღვანელობენ შემდეგი მიდგომებით: წახალისებულია კვალიფიციური პერსონალის მიერ სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა, რაც მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო სოციოკულტურული სივრცის

მოწყობისკენ. სკოლა მიყვება ისეთ ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორებიცაა, თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის მიმღეობა და პატივისცემა, ასევე, ზრუნავს მოსწავლის სოციალური და ფსიქო-ემოციური უნარების გამომუშავებაზე. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება და განხორციელება განხილული და შეთანხმებული იყო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა დონეზე, რაც მიუთითებს პროცესის ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობაზე. კერძოდ, აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა: მრჩეველთა საბჭოზე, პედაგოგიურ საბჭოზე,სამეურვეო საბჭოზე, საგნობრივ კათედრებზე,მშობელთა კრებებზე. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის ხედვა არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული დოკუმენტი- ის წარმოადგენს ერთობლივად მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც ასახავს როგორც პედაგოგიური, ისე მშობელთა და საზოგადოების ფართო წრის მოსაზრებებს. მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვა მრავალსაფეხუროვან დონეზე უზრუნველყოფს არა მხოლოდ მათ გაცნობიერებას, არამედ ამ ღირებულებების პრაქტიკაში რეალურ დანერგვას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს: თითოეული მხარის ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინებას;ღირებულებების მიღებასა და გააზრებას პედაგოგიური გუნდის, მოსწავლეთა მშობლებისა და ადმინისტრაციის მხრიდან;საერთო მიზნისა და პასუხისმგებლობის განცდის გაძლიერებას;დემოკრატიულ მმართველობასა და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღებას.აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მისიაში განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების რეალურ ცხოვრებაში დანერგვას, რაც სკოლას აქცევს ღია, განვითარებაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ სივრცედ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ნიშნავს:ყველა მონაწილე მხარე (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი) არამხოლოდ ინფორმირებულია, არამედ იზიარებს სკოლის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს;სკოლის ხედვა და ღირებულებები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, საკლასო და სკოლისგარეშე აქტივობებში;ფასეულობები იქცა ყოველდღიური ურთიერთობების და ქცევის წესების საფუძვლად;სასკოლო საზოგადოება მოქმედებს ერთიანი კულტურული ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, პატივისცემას, ტოლერანტობასა და პასუხისმგებლობას.შედეგად:მისიისა და ხედვის გაზიარება უზრუნველყოფს სკოლის ერთიან და სტაბილურ განვითარებას. ეს ქმნის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს, სადაც თითოეული წევრი გრძნობს თანამონაწილეობასა და თანამესაკუთრეობას სასკოლო მიზნებში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს:სკოლის სტრატეგიული მიმართულებებისა და ღირებულებითი საფუძვლის გამჭვირვალობას;საზოგადოების, მშობლების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და მოსწავლეების შესაძლებლობას, იყვნენ ინფორმირებულნი სკოლის მიზნებისა და პრინციპების შესახებ; ნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას; სკოლის ხედვის პოპულარიზაციასა და მისი პოზიციონირების გაუმჯობესებას ფართო საზოგადოებაში. საჯარო ხელმისაწვდომობა ხორციელდება:სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე;სკოლაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე; მშობელთა კრებებზე; სკოლის პრეზენტაციებსა და

ღონისძიებებზე. ღირებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს იმას, რომ სკოლის სტრატეგიული ხედვა არ დარჩეს ფორმალურ დოკუმენტად, არამედ გახდეს ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი — გამიზნული და გაზიარებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლა".

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი 1
სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1;
კათედრის სხდომის ოქმი;
2024 წლის 09 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3;
2024 წლის 06 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5;
2024 წლის 16 სექტემბრის მშობელთა სხდომის ოქმი, VIII კლასი;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

დანართი2. სასკოლოსასწავლო გეგმა-2024-2025წ.წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლას გააჩნია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობაზე. მეთოდოლოგიის საფუძველზე სკოლა აქცენტს აკეთებს, როგორც საგანმანათლებლო სისტემის პრიორიტეტებზე, ასევე – სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე. გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სკოლის ყველა ჯგუფი – ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები ამ გზით უზრუნველყოფილია თითოეული მხარის ხედვის გათვალისწინება. ინტერესების შესასწავლად გამოყენებულია დიალოგი მშობლებთან, მასწავლებლებთან, კითხვარები, ინდივიდუალური კონსულტაციები, შიდა და გარე შეფასებების ანალიზი. აღწერილია სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა- მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, ხედვა, ღონისძიებების ჩამონათვალი, პასუხისმგებელი პირები და ვადები, შედეგების შეფასების კრიტერიუმები.უწყვეტი განვითარება და მონიტორინგი-რეგულარულად შემოწმდება გეგმების შესრულება და საჭიროების შემთხვევაში მოხდება რევიზია.სტრატეგია ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგს და შეფასებას სკოლა ამჟამად ვერ ახორციელებს, რადგან გადის პირველ ავტორიზაციას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლას 2023-2024 წლის შესრულების ანგარიშისა და SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავებული აქვს სტრატეგიული მიმართულებები, რომლების პრიორიტეტებად აქვს გამოყოფილი 2023-2030 წლებში: 1.სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2.ადამიანური რესურსის განვითარება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 5.სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; 6.მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; 7.ორგანიზაციული განვითარება. მიზნები ჩაშლილია ამოცანებად და შესაბამის აქტივობებად, აღნიშნულია შესრულების ვადებიც. სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ განვითარების პროცესი არის ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას (მისია, ხედვა,ღირებულებები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარებისა და 2024-2025 სასწავლო წლის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(სამეურვეო საბჭოს 2024წლის 6 სექტემბრის სხდომაზე N5 ოქმით დამტკიცებული). როგორც გეგმაშია წარმოდგენილი, სკოლამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. გარდა ამისა, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები, რომელიც SWOT -ანალიზიდან და თვითშეფასებიდან გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.** სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც აქცენტირებულია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება, ,მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი2

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების ჯგუფის ბრძანება;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 17 ოქტომბერის N10 სხდომის ოქმი;
მასწავლებლის კითხვარი;
მშობლის კითხვარი;
მოსწავლის კითხვარი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ გეგმავს სკოლა შემდგომ წლებში სტრატეგიული და ერთწლიანი გეგემების მონიტორინგსა და შეფასებას. თუმცა სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები; გაანალიზებულია ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტები; გამომდინარე შესრულების ანგარიშიდან შექმნილია 2024-2025 წ.წ. სამოქმედო გეგმა. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგს და შეფასებას სკოლა ამჟამად არ ახორციელებს, რადგან გადის პირველ ავტორიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით . სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპები,შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შესრულების მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვება, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეთაგან. სკოლა გეგმავს დანერგოს ანგარიშგების სისტემა. სასწავლო პროცესის განმავლობაში გაიმართება სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. შეფასების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაიგეგმება შეხვედრები წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, დაიგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები და თვითშეფასების გაანალიზება. სამოქმედო გეგმაში გაიწერება SWOT ანალიზის შედეგები და ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პროგრამის განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა, სკოლას ვებ გვერდზე skolebi.emis.ge გამოქვეყნებული აქვს ანგარიშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. შესრულების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დანერგვა ემსახურება სკოლის საჭიროებების სისტემატურ დადგენასა და სამომავლო განვითარებას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით შემდგომშიც განხორციელდება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება.სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასების გადახედვის განხორციელება იგეგმება ყოველწლიურად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია; ***დანართი 2***

2. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა-დანართი; ***დანართი 2***

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში-დანართი; ***დანართი 2***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დირექციას (სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,ბუღალტერი) ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი,საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექთანი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), პედაგოგიურ საბჭოს (სკოლის ყველა მასწავლებელი), საგნობრივ კათედრებს, ტექნიკურ პერსონალს (დამლაგებელი და დარაჯი).ასევე სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო ,

მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქცია/მოვალეობები.სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიგრამა,რომელიც ასახავს ორგანიზაციის შემადგენლობას, იერარქიის განსხვავებულ დონეებს, სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთმიმართებებს(დირექტორის ბრძანება N2-06; 28/02/2025 წელი სკოლის სტრუქტურა- დანართიN1). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ბრძანება ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (2025 წლის 14 აპრილის ბრძანება 2-37; დანართი 3) განსაზღვრულია სკოლის პოლიტიკის მიზნები: სკოლაში კვალიფიციური, პასუხისმგებლიანი, მოტივირებული, აქტიური, თანამშრომლობითი და ემპათიის უნარის მქონე კადრის მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება. ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შედეგიანად განხორციელება. სკოლაში დასაქმებულთა ნაყოფიერი და მოტივირებული საქმიანობის უზრუნველყოფა. ნათლად არის გაწერილი ფუნქცია -მოვალეობები, რომელშიც არ ხდება ერთმანეთის გადაფარვა და რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამავე დოკუმენტში, ასახულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როგორც მასწავლებლებთნ, ასე სხვა თანამშრომლების შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულ**ია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

*1. საშტატო განრიგი; **დანართი 3***
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; დანართი 3
3. ბრძანება N2-06 , 28.02.2025 წ. სტრატეგიული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; დანართი 3
*4. პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმა; **დანართი 3***
*5. სამეურვეო საბჭოს სამოქმედო გეგმა; **დანართი 3***
*6. მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; **დანართი 3***
*7. საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება; **დანართი 3***
*8. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება; **დანართი 3***
9. ბრძანება ,, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“, 2025 წლის 14 აპრილის ბრძანება 2-37; დანართი 3
*10. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა- დანართი 1; **დანართი 3***
დირექტორის ბრძანება N2-06; 28/02/2025 წელი სკოლის სტრუქტურა (დანართი N 1)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ეს აქტებია: შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები,პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი,რითაც რეგულირდება სკოლაში კადრების მოზიდვა და შერჩევა; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები; თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და შესაბამისი აქტივობები; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და აღნიშნულ პროცესში დირექციის როლი; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება; პერსონალის პროფესიული განვითარება და მოტივირება; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურებულია ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა ზრუნავს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნებოდეს პრევენციულ და ინტერვენციულ მართვას, რისთვისაც თანამშრომლის დასაქმებისთანავე ხელს უწყობს მას სკოლასთან ადაპტაციაში(თანამშრომლის ადაპტაცია), სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მასწავლებლების შემთხვევაში სკოლას აქვს გამოცდილება პროფესიული საჭიროებების დადგენისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვის მიმართულებით,რასაც ემსახურება „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“ (ყველა კათედრას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა).სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომის კოდექსის შესაბამისად ყველა მოთხოვნა.მათ შორის შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომის პირობების დაცვის წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება: კადრების მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა, ადამიანური რესურსის განვითარების პირობები,სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.თანამშრომლის მიერ სამუშაოს გაცდენის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება სკოლაში დასაქმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირით.2025 წლის 12 თებერვლის სამეურვეო საბჭოს N 2 სხდომაზე დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი6)გაწერილია, თუ როგორ სრულდება თანამშრომელთა განვითარება და მართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლაში კადრების მოზიდვის პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას. მასწავლებლის

დასაქმება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად“. ვაკანტურ საათებზე შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად შემუშავებულია „მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“ და კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები. სამედიცინო პერსონალის შერჩევისათვის სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ, გასაუბრების საფუძველზე. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; ვაკანსია მასწავლებლის შემთხვევაში ცხადდება ვებგვერდზე teachersjob.ge-ზე. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი33 (1)-ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები,უფლების ჩამორთმევის შესახებ“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით. პირად საქმეებში წარმოდგენილია: კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის უფლების ჩამორთმევის შესახებ. პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაფორმებულ თანამშრომელთა პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად (უფროსი, წამყვანი). დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი , აქედან 1 წამყვანი, 22 უფროსი, სპეცმასწავლებელი უფროსი. სკოლაში ასევე დასაქმებულია 1 ექთანი, 2 დარაჯი, დამლაგებელი 3 შტატით, 1 სოციალური სააგენტოს მხარდაჭერით დამლაგებელი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს,

რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუებში, კათედრების ოქმებში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიები, სადაც აღწერილია თანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესები.ურთიერთპატივისცემისა და

თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც თითოეული მასწავლებელი იზიარებს არის გუნდურობა. სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი" და სხვა. კათედრის დებულება დამტკიცებულია 2024 წლის 9 სექტემბრის N3 პედაგოგიური საბჭოს ოქმით. ექსპერტთა ვიზიტის დროს , ნათლად იგრძნობოდა ერთმანეთთან თანამშრომლობის, კეთილგანწყობის ატმოსფერო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, სკოლაში ხორციელდება გამოცდილების გაზიარება ურთიერთდასწრების გზით. მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის(სამასწავლებლო), რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების მექანიზმების(სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 მარტის N3 სხდომაზე დამტკიცებული). შინაგანაწესის მე 11-ე მუხლში აღწერილია დასაქმებულის წახალისების მექანიზმები. საანგარიშო წლის განმავლობაში, სკოლის განვითარებაში განსაკუთრებული ხდება თანამშრომელებისთვის შესაბამისი წახალისება სამუშაოს შესრულებისთვის. სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების გაზიარება ხდება სკოლის სოციალურ ქსელის გვერდზე https://www.facebook.com/Zemo.Alvani.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; დანართი 2. კათედრის დებულება; დანართი 3
შინაგანაწესი; დანართი 3
„ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი". დანართი 3
კათედრის ოქმი;დანართი 3

https://www.facebook.com/Zemo.Alvani.2

ინტეგრირებული პროექტი ,,კულტურული მემკვიდრეობა" დანართი 3

კათედრის დებულება დამტკიცებული 9 სექტემბრის N3 პედაგოგიური საბჭოს ოქმით; დანართი 3

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 მარტის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის გარკვეული საკითხები. შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N 2 სხდომის ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. ამიტომ სკოლა თვლის, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანება N2-07 და შემუშავებულია დებულება. ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში. სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად სკოლა თვლის, რომ საჭიროა დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; ასევე სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორცილება. სკოლას გააზრებული აქვს ზემოთ აღწერილი პროცესები და გეგმავს განხორციელების გაუმჯეებესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა დგება მათ საქმიანობაზე დაკვირვებით, საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, პროფესიული განვითარება ხდება შიდა რესურსების გამოყენებით,კერძოდ , კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მუშაობა სკოლაში გაძლიერებულია,მუშაობს ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი, ხდება ურთიერთდასწრება, აზრის გაზიარება, უკუკავშირის გაცემა, რეფლექსია, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას.პროფესიული განვითარების პროცესში კოლეგებთან თანამშრომლობა, პედაგოგიური საქმიანობის კვლევის საფუძველზე საკუთარი პროფესიული საქმიანობის და შესაძლებლობების ახლებურად გადაფასება. პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას სკოლაში აქცენტი კეთდება მასწავლებლის მხარდაჭერასა და შეფასებაზე. სკოლაში მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც გამოიხატება შემდეგ ფაქტებში: დასაქმებულის თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; 2022-2023 სასწავლო წელს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში: რაიონული და რესპუბლიკური კონფერენცია - 1.,,განათლება მდგრადი განვითარებისთვის სასკოლო პროექტები“USAID-ის ტრენინგი ინკლუზიური განათლება და წიგნიერება,,,ლიდერ მასწავლებელთა ტრენინგი“,მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული სავალდებულო ტრენინგები“,,გარემოს დაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“.სკოლას გააზრებული აქვს, რომ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების რელევანტური განვითარების გზების შეთავაზება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით; სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას და სკოლის განვითარებას. მასწავლებელთა კარიერული წინსვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლა საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით თანამშრომლის მიღებისას მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, რათა შეძლონ ადაპტაცია ახალ გარემოში. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრის წევრები, დირექცია. ხდება თანამშრომლისთვის სკოლაში დამკვიდრებულ წესებისა და ტრადიციების გაცნობა, საგაკვეთილო პროცესების მომზადებაში დახმარება, კლასების გაცნობა და სხვა, რაც უმარტივებს ახალ მასწავლებელს შეგუების პროცესს. სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის 2-95 ბრძანებით დამტკიებულია ახალი თანამშრომლის სკოლაში მოწყობისა და ადაპტაციის პროცედურები. ამ ბრძანებაში დეტალურადაა აღწერილი ახალი თანამშრომელთან განსახორციელებელი პროცედურები, რათა შეძლოს ადვილად ადაპტირება სასკოლო სივრცეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლაში მზარდაჭერილი და წახალისებულია თანამშრომელთა ინიციატივები, თანამშრომლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დირექციისგან აქვთ მუდმივი თანადგომა მათ მიერ განხორციელებული ან ინიცირებული პროექტების, გაკვეთილების, არა ფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების დროს, ასევე 2-06 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი N 2 სტრუქტურურლი ერთეულების / პირების ფუნქციების აღწერაში და სკოლის შინაგანაწესში- მუხლი 11 აღწერილია წახალისების ფორმები თანამშრომელთა მოტივაციისა და პროფესიონალურად შესრულებული საქმიანობისთვის. მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებაში და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით(მატერიალური რესურსი, სათანადო სივრცის შექმნით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები , ბრძანება N2-06 28.02.2025 წელი; დანართი 4

დებულება- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის; დანართი 4
კათედრის ოქმი; დანართი 4
თანამშრომელთა სერთიფიკატები; დანართი 4
სკოლის შინაგანაწესი; დანართი 4
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; დანართი 2.
ბრძანება 2-06
ბრძანება 2-95

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, რაც სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მუდმივ სრულყოფას გულისხმობს. სკოლას დირექტორის ბრძანება N2-06; 28/02/ 2025 წელი დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვით პროცესების დაგეგმარება, მართვა, მონიტორინგი-შეფასება და განვითარება უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. წარმოდგენილია 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2024-2025სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მიზნით - შიდა კონტროლის განხორციელების მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ყველა ამ დოკუმენტის შეჯერებით, ჩანს, რომ სკოლაში პროცესების მართვა განსაზღვრავს სკოლის ხარისხის განვითარების ციკლს, თითოეული სტრუქტურული რგოლის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქცია მოვალეობებს სკოლის მიზანმიმართული განვითარებისთვის. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სასკოლო საზოგადოება გეგმავს საქმიანობის კიდევ მეტად დახვეწას მომავალი 2025-2026 სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დირექტორის ბრძანება N2-06; დანართიN3 28/02/ 2025 წელი დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც დეტალურადაა აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025წ.წ), ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, უზრუნველყოფს სკოლის ძირითად პროცესებს (სასწავლო), მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კათედრის

საქმიანობით, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფით, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და მომსახურების მექანიზმებით (მოსწავლეთა ადაპტაცია, შინაგანაწესი, დასაქმებულთა ხელშეკრულებები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. გასაჩივრების და საჩივრების განხილვის სისტემა გაბნეულია შინაგანაწესში, სხვა დოკუმენტებში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლაში კანონიერ უფლებების დაცვას, აქედან გამომდინარე საჩივრების განხილვასაც დოკუმენტი ,, გასაჩივრების დეტალური პროცედურები“(2025წლის 28 .02 ბრძ.2-06 დანართიN4)საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დამტკიცების შესახებ. სკოლაში დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 .12 N167 /ნ ბრძანებით, შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, სკოლის შინაგანაწესში არის მუხლები, რომელშიც გაწერილია როგორც თანამშრომელთა (მათ შორის მასწავლებლის, დამრიგებლის) ასევე მოსწავლეთა დარღვევის ტიპები და დისციპლინური სახდელები. სკოლის შინაგანაწესში მუხლი.23 ში წერია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/ საჩივარი რეგისტრირდება და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში არსებობს გასაჩივრების სხვადასხვა საშუალებები. როგორც დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, გასაჩივრების მსურველს პირველ ეტაპზე შეუძლია მიმართოს დირექტორს, დისციპლინურ კომიტეტს, შემდეგ სასამართლოს და ა.შ. ნებიესმიერი განცხადება/წერილი/ კორესპოდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია დირექტორის ბრძ 2-06,, გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის უფლებამოსილება, გაწერილია, აგრეთვე, მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი დეტალურადაა მითითებული დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N2- 06 ბრძანებით დამტკიცებულ მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში (კომუნიკაციის წესი); გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.

სკოლას ჰყავს მატდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, შემუშავებულია რეფერირების წესი და ჰყავს ამ მიმართულებით პასუხისმგებელი პირი, გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები.(დირექტორის ბრძანება N2-22 -25.03.2025 წ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები , ბრძანება N2-06 28.02.2025 წელი; დანართი 5

სასკოლო სასწავლო გეგმა; დანართი 5

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; დანართი 5

მშობელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება; დანართი 5

საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-06 -ის დანართი N8, 28.02.2025 წელი); დანართი 5

საქმისწარმოების ერთიანი წესი(ბრძანება N2-06 -ის დანართი N7, 28.02.2025 წელი);დანართი 5;

ფოტომასალა გამოკრული ცხელი ხაზის ნომრების შესახებ; დანართი 5

გასაჩივრების დეტალური პროცედურები -(ბრძანება N2-06 -ის დანართი N4, 28.02.2025 წელი); დანართი 5

შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას ახდენს დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა კრებებზე, დახურულ ფეისბუქ ჯგუფებში. უკუკავშირი მიიღება შეხვედრების პროცესში გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საშუალებით. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვთ მოსწავლეებს, კლასის დამრიგებლებს, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას. შესაბამის ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სკოლის ფეისბუქ გვერდზე- https://www.facebook.com/profile.php?id=61575062140646h ქვეყნდება მიმდინარე პროცესების ფოტოები, კომენტარები, რაც ასევე უკუკავშირის მიღების საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ვებ გვერდი skolebi.emis.ge პორტალზე, რომელზეც განთავსებული აქვს სკოლის შესახებ ინფორმაცია, მომავალში გეგმავენ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია დაიდოს მიმდინარე პროცესებზე. სასკოლო მმართველობაში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლება-მოვალეობების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კლასის დამრიგებლების დებულება; დანართი 5

თვითმმართველობის დებულება (ბრძანება N2-06 -ის დანართი N2, 28.02.2025 წელი); დანართი 5

სკოლის ფეისბუქ გვერდის ბმული https://www.facebook.com/profile.php?id=61575062140646; *დანართი 5*
დისციპლინური კომიტეტის წევრების არჩევის ოქმი; დანართი 5;
პედსაბჭოს N3 სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი

მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რაც ეფუძნება 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N06/ნ ბრძანებას. განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებული 2 მანდატური და მორიგე მასწავლებლები.

- **რჩევა: სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სერტიფიცირებული სპეციალისტი, რათა სრულად იყოს დაცული სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება.**

სკოლა სრულად რეაბილიტირებულია, თუმცა ჯერ არ დასრულებულა გადაბარების პროცესი, არ აქვს გადაცემული აგეგმვითი / აზომვითი ნახაზები, არ არის მიღება- ჩაბარების აქტი რეაბილიტირებული სკოლის გადაბარების შესახებ. ამიტომ:

- **არ არის საევაკუაციო გეგმა, (მიმართვის წერილი გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სააგენტოში 20. 02. 2025წ); სკოლას შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვს ერთწლიანი ვადა 2025 წლის 20 თებერვლიდან 2026 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.**
  - **რეკომენდაცია: საევაკუაციო გეგმის მოპოვებასთან დაკავშირებით, სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები.**
- **არ აქვს შენობის მდგრადობის დოკუმენტი(წარმოდგენილია სკოლის მხრიდან ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიმართვის წერილი 10.03.2025); შესაბამისობის გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს ერთწლიანი ვადა 2025 წლის 10 მარტიდან 2026 წლის 10 მარტის ჩათვლით.**
  - **რეკომენდაცია: შენობის მდგრადობის დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებით, სკოლამ დაიცვას შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები.**
- **არ აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა(წერილის მიღებაზეც უარი ეთქვა, რადგან შენობის ნახაზები არ აქვთ.) სკოლას არ აქვს მიწერილობა გაგზავნილი შესაბამის უწყებასთან ამ საკითხთან დაკავშირებით და ელოდება სკოლის შენობის გადაბარების პროცესის დასრულებას. სკოლას არ აქვს შესაბამისობის გეგმით ეს საკითხი წარმოდგენილი.**

- 2025წლის 4 აპრილს შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სკოლის საგანგებო სიტუაციების გეგმა(ბრძ. 2-11 2025 წლის 07 მარტი).

- დირექტორის 2025 წლის 07 მარტის N2-11 ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. შტაბი შემდეგი შემადგენლობითაა დამტკიცებული: 1. საგანგებო შტაბის უფროსი;2.საევაკუაციო ჯგუფის უფროსი;3. კავშირგაბმულობისა და შეტყობენების ჯგუფის უფროსი; 4.სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი;5.სახანძრო- სამაშველო ჯგუფის უფროსი;6. მატერიალურ- ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი.

- ახლად რეაბილიტირებულ სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო შეტყობინების სისტემა, არის ხანძრის ჩასაქრობად , ყველა სართულზე და ფლიგელში(2) წყლით ქრობის სისტემაა გაყვანილი, რომელიც დაერთებულია სკოლის ეზოში განთავსებულ კორპუსში წყლის ავზებთან, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას საშიშროების დროს.
  ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3.4.1.1. -სკოლის არგუმენტირებული პოზიცია

ა) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია უფლებამოსილ უწყებასთან შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა; მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

ბ) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება. ასევე საევაკუაციო გეგმის წარმოდგენისთვის მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

გ) სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 3.4.1.1..- ს შეფასება -არ არის დაკმაყოფილებული , შეცვალა და ინდიკატორი 3.4.1.1. შეაფასა მეტწილად შესაბამისად.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალურიდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად სკოლას ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში(2023 წელს ორჯერ გამოცხადებულ კონკურსში აპლიკანტთა არ არსებობის გამო) ვერ შეძლო შეევსო სკოლის ექიმის ვაკანსია. ამდენად დაწესებულებამ მიმართა ქალაქ ახმეტის რესურსცენტრის უფროსს (2023 წლის 01 მარტი,) შუამდგომლობისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთან (რესურსცენტრის უფროსის წერილი N246594) გამოცხადებული ვაკანსიის ფარგლებში ,,ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სკოლის ექიმის შტატზე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის აყვანა“, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლის შტატში ,,სკოლის ექთანის" შტატის დამატებასთან დაკავშირებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 06 მარტის MES 8 23 0000260767 წერილის საფუძველზე სკოლამ შეათანხმა ექთნის შტატი და კონკურსით დაასაქმა ექთანი.სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოცენის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 28 მარტის ბრძანება N 2-25, რაც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შენარჩუნდეს ადამიანს ჯანმრთელობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- **რჩევა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალურიდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების საფუძველზე, **თუ სკოლა ითხოვს მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას(მოთხოვნილი რაოდენობა 400 მოსწავლე), უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის არსებობა სკოლაში.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N06/ნ ბრძანებით. განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულია 2 მანდატური და მორიგე მასწავლებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლა იყენებს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის (სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, კომენტარები, მშობელთა კრებები,). სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რასაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეებს, პედაგოგებს, ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, წახალისებულია განსხვავებული აზრის პატივისცემა. სკოლის შენობაში (დერეფნები, ბიბლიოთეკა) და სკოლის ეზოს სივრცე, სპორტული დარბაზი გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის/ არაფორმალური თუ ფორმალური ღონისძიებებისთვის, რაც მოსწავლეებში სოციალური ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს. სკოლაში მიუკერძოებელი, სამართლიანი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად კომფორტული გარემოა ჩამოყალიბებული. დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. სანიტარულ კვანძებში სისუფთავეზე ზრუნავენ დამლაგებლები და მორიგე მასწავლებლები. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 28 მარტის N2-10 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. პერსონალის მონაცემები ინახება საქმისმწარმოებელთან და პერსონალურ ინფორმაციაზე სხვას არ აქვს წვდომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N 2 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ 2025 წლის 24 მარტის N2-21 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი(რესურსცენტრის წარმომადგენელი) და აღწერილია მისი საქმიანობა.სკოლას ბრძანება 2-10 28.03.2025 დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ვერ ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება და ვერ იყენებს შეფასების შედეგებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი არ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დამლაგებლის ხელშეკრულება და სკოლის მიერ გადარიცხული თანხების დამადასტურებელი ქვითრები; დანართი 6~
ერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები; დანართი 6

ექთნის ხელშეკრულება; დანართი 6
წყლის სინჯის დასკვნა; დანართი 6
მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება; დანართი 6
ბრძანება საგანგებო რეაგირების შტაბის დამტკიცების შესახებ; დანართი 6
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული; დანართი 6
საევაკუაციო გეგმის შესახებ, წერილი ინფრასტრუქტურას; დანართი 6
სკოლის მდგრადობის შესახებ, წერილი ინფრასტრუქტურას; დანართი 6
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ 2025 წლის 24 მარტის N2-21 ბრძანება
ექთნის შტატის შესახებ- დანართი 6
სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლის
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი- დანართი6
2025 წლის 28 მარტის N 2-25 ბრძანება-დანართი6

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა ახალ რეაბილიტირებულია სრულად, თუმცა ჯერ არ არის წარმოდგენილი მიღება ჩაბარების აქტი სახელმწიფოდან სკოლაზე გადაბარების შესახებ. სკოლის საერთო ფართი 10 901 $მ^2$, საიდანაც შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 2922,96 $მ^2$.. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სრულად რეაბილიტირებულია. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია 59 ვიდეო სათვალთვალო კამერებით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. არის 15 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი.საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა(ქიმია -ბიოლოგია), ფიზიკის და კომპიუტერული ლაბორატორიები. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების გადაადგილებისთვის საჭირო მექანიზმი. ამასთანავე, მათთვის გამოყოფილია რესურს ოთახი და შესაბამისი ადამიანური პერსონალი (სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი). სკოლას ჰყავს სათანადო რაოდენობის ადამიანური რესურსი და აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკა განთავსებულია 45 $მ^2$ ოთახში;აქვს შესაბამისი ავეჯი, ინტერნეტი,38 კომპიუტერი(20 კომპიუტერულ ლაბორატორიაში, დანარჩენი გადაწილებულია ფიზიკის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, ადმისისტრაცია -დირექციაში,სამასწავლებლოში, სამედიცინო კაბინეტში,ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში. ყველა კომპიუტერი ექსპლოატაციაშია.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(დანართი ერთი, რომელიც გაცემულია 2022 წლის 14 დეკემბერს). არ არის წარმოდგენილი სკოლის რეაბილიტაციის შემდგომ გაცემული ამონაწერი(რეაბილიტაციისა და სკოლის შენობების(4) მიღება-ჩაბარების აქტი, ნახაზები ჯერ არ არის გადაცემული სკოლისთვის, რაც საჭიროა ახალი ამონაწერის მისაღებად. (სკოლა 2024 წლის დეკემბერში გადავიდა რეაბილიტირებულ შენობაში).არ არის წარმოდგენილი რეაბილიტაციის შემდგომ საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია მიმართვის წერილი საჯარო რეესტრთან ან/და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან

მიღება- ჩაბარების და ნახაზების გადმოცემის შესახებ. ეს საკითხი არ არის გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში. .

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილია სკოლის რეაბილიტაციის შემდგომი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება, საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზების მოპოვება. მითითებულია ერთწლიანი ვადა 2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი ***3.5.1.1.- სშეფასება*** *-არ არის დაკმაყოფილებული , შეიცვალა და* ინდიკატორი 3.5.1.1. შეაფასა მეტწილად შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი აძლევს რეკომენდაციას სკოლას დაიცვას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადები სკოლის რეაბილიტაციის შემდგომ საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის მოპოვებისთვის, საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი ნახაზების წარმოდგენისთვის

(2025 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 ივლისის ჩათვლით) .

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსების შერჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. სკოლას აქვს ფიზიკის და საბუნებისმეტყველო(ქიმია-ბიოლოგია) ლაბორატორიები.ასევე კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინვენტარით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით (სკოლის დირექტორის 28.02.2025 წლის2-06 ბრძანება დანართი N 6.) სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში არის წიგნადი ფონდი: მხატვრული ლიტერატურა და სახელმძვანელოები. სახელმძღვანელოებს სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში, დროებით სარგებლობაში გადასცემს

მოსწავლეებს(მშობელთან, კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 აგვისტოს N 103/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლა სახელმძღვანელოს აფასებს 9 ქულიანი სისტემით და ხელშეკრულებით სასწავლო - წლის (სასწავლო პროცესის დამთავრებამდე) გადასცეს მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს, დაბრუნებისას ისევ ფასდება სახელმძღვანელო, ორივე მონაცემი ფიქსირდება სკოლის რეესტრში, რომელსაც სკოლა აწარმოებს. ბიბლიოთეკაში დაცულ თითოეული წიგნს ენიჭება საინვენტარო ნომერი, ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში,სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი),შენიშვნა. ბიბლიოთეკა განთავსებულია 45 კვ.მ ფართში., სადაც დაცული წიგნადი ფონდი, სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ინტერნეტით, კომპიუტერით და სამკითხველო ოთახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობა გარემონტდა სრულად, აღნიშნული რემონტი განხორციელდა „პრემიერის ინიციატივის“ ფარგლებში სახელმწიფოს მიერ და რემონტის პერიოდში ადაპტირდა, რაც გულისხმობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას აქვს სრულად ადაპტირებლი გარემო, რესურს ოთახი, პანდუსი, 8 ადაპტირებული საპირფარეშო და ყველა ის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი რომელიც გამომდინარეობს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 სპეციალური საჭიროების ასისტენტი.სკოლაში აქვს სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს 1 შიდა და -1 გარე სპორტული მოედანი, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. იგეგმება სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებები და აქტივობები. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, სკოლა პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობებით ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; დანართი 7

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; დანართი 7

წიგნების გადაცემის აქტები; დანართი 7

სსსმ მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; დანართი 7

სსსმ პირის ასისტენტის შრომითი ხელშეკრულება; დანართი 7

კომპიუტერები, წიგნადი ფონდი, კამერები, ფოტოების სახით; დანართი 7

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** სკოლას აქვს 5 ლეპტოპი და 28 კომპიუტერი. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც მობილიზებულია გარკვეული რაოდენობის ტექნიკა, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. ამასთანავე, სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერი, რომლითაც შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ მასწავლებლებმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პირადი პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია (20 კომპიუტერი) ლაბორატორიაში. 1 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლაში არის ინდივიდუალური კომპიუტერები, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში არის 1 პროექტორი, რომლის გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ მოსწავლეებსაც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(ბრძ. 2-23 27.03.2025წ.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრის შესახებ ბრძანება N2-36, 11.04.2025 წ; დანართი 8

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი; დანართი 8

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს საქმის წარმოების წესი. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირებას, იცავს რეგისტრაციის წესებს, რეგისტრირდება გამოსული და შემოსული დოკუმენტაცია. წესის მიხედვითაა წარმოებული პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები, სკოლას აქვს საკადრო, საერთო ბრძანებების ჟურნალები. საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-06 28.02.2025წელს. 2012 წლის 29 სექტემბრიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას "eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაცია. საქმისწარმოების წესში სასურველია მითითებული იყოს კონკრეტულად დოკუმენტაციის შენახვის ვადა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას eflow, eschool. Gmail, ელექტრონულ ჟურნალს. სოციალურ ქსელში სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის აქვს ფეისბუქ გვერდი,სადაც ათავსებს ინფორმაციასსკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლას აქვს ვებ გვერდისskolebi.emis.ge. მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ TEAMS და Zoom-ის პროგრამებს. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა mailto:ZemoAlvani2@mes.gov.ge
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

eschool და მოთხოვნილ დროში ასახავს ყველა ინფორმაციას კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისი პირი მუშაობს საინფორმაციო ბაზებთან. სკოლაში ვიზიტისას ჩვენს მიერ დათვალიერებული იყო ბაზა და შევსებული იყო ყველა სავალდებულო ველი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან სკოლა მოქმედებს საქმისწარმოების წესის შესაბამისად აქვს ანგარიშგების პერიოდი, პროცედურები. რეაგირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციაზე, გამოყოფილ დროში აგზავნის მოთხოვნილ ინფორმაციას, აქვს გაწერილი პროცედურები. კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს სხვადასხვა მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N2-06 -ის დანართი N7, 28.02.2025 წელი); დანართი 8

სარეგისტრაციო ჟურნალის ნიმუში; დანართი 8

არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 2025 წლის 13 მარტის N2-14; დანართი 8

ფინანსური საქმიანობის ანგარიში; დანართი 8

სასწავლო პროცესის ანგარიში; დანართი 8

პრეზიდენტთან, პრემიერ მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან გაგზავნილი ანგარიში; დანართი 8

სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში; დანართი 8

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს სოციალური ქსელი

- ფეიბუქით, სკოლის პორტალ - skolebi.emis.ge - ზე გააქტიურებული აქვს მისთვის განკუთვნილი ელექტრონული სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას სკოლის მიერ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის ნამდვილობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფაზე, ვებ გვერდზე და თვითშეფასების კითხვარში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს ხარისხის გასაუმჯობესებლად სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს და უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

სკოლას აქვს სოციალური ქსელი და სკოლის პორტალ - skolebi.emis.ge - ზე მისთვის განკუთვნილი ელექტრონული სივრცე, სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა თავსდება; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლების პორტალ - skolebi.emis.ge მისთვის განკუთვნილი ელექტრონული სივრცეში განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის წესი); დანართი 8

2024 წლის 16 სექტემბრის მშობელთა კრების სხდომის ოქმი კლასი VIII; დანართი 8

სკოლის ვებ. გვერდი Skolebi-admin.emis.ge; დანართი 8

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ფინანსურ პროცესებს, ყველა ცვლილებას ბიუჯეტში ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესასრულებელი საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმით და სამეურვეო საბჭოს ყოველი საანგარიშო წლის 10 დეკემბრამდე წარედგინება ფინანსური ანგარიში, ასევე შესყიდვების ნაწილში, თანხების განკარგვა სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად ხორციელდება. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესყიდვების გეგმა, ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შესყიდვების წლიური გეგმა და დამტკიცების დოკუმენტაცია; დანართი 9

ფინანსური საქმიანობის ანგარიში; დანართი 9

2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა .სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 დეკემბრის ოქმი N8; დანართი 9

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგანაწესით, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ასევე, სკოლას გააჩნია თვითმმართველობის დებულება, სადაც მკაფიოდაა გაწერილი, რომ აღნიშნული რგოლი ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას; შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით, აგრეთვე სკოლას აქვს ტრანზიციისა და რემედიაციის დოკუმენტები. სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესი, აგრეთვე სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ატვირთულია სკოლის დოკუმენტაცია. მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის შინაგანაწესის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი
ბრძანება თვითმართველობის არჩევნების კომიისის შექმნაზე
თვითმართველობის დებულება
სამეურვეო საბჭოს ოქმი თვითმართველობის არჩევნების, შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინარული კომიტეტის შექმნის შესახებ
მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება
მშობელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
გასაჩივრების დეტალური პროცედურები
სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოიდება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერებისთვის იყენებს კანონმდებლობის შესაბამის რეგულაციებს. პროცესები იმართება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებ მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებისა“ და ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლის შესაბამისად.“ შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელქტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონმდებლობის შესაბამისად,

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის სტატუსის შეჩერება, ჩარიცხვა, და შეწყვეტა. სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით“, სასკოლო სასწავლო გეგმით და სამართლებრივი აქტების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას ფასიანი წრეები არ ჰქონდა გათვალისწინებული. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ორ უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში, რითაც უზრუნველყოფილია სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი*

- *მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევია, მობილობის წესის დამტკიცების შესახებ*
- *მოსწავლის პირადი საქმე*
- *მშობელთან გაფორმებული შეთანხმება;*

ომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის“ დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ყველა ის გარემოება და ფაქტორი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სკოლამ, მშობელმა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეს სკოლასთან ადაპტაციაში, მის სოციალიზაციაში. დოკუმენტში გაწერილია რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ადაპტაციის პერიოდი, რა ნიშნებით შეიძლება მივხვდეთ დეზადაპტაციას, რა მამოტივებელი აქტივობები უნდა განახორციელოს სკოლამ, რომ მოსწავლემ თავი იგრძნოს დაცულად და კომფორტულად, რა როლი აკისრიათ მშობლებს ამ პროცესში. გარდა დოკუმენტისა, სკოლას აქვს ყველა პირობა, რესურსი იმისათვის, რომ

მოსწავლემ თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და მიღებულად. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სსსმ მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობა სასკოლო/სასწავლო გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლეთა სასწავლო ადაპტაციისათვის ყველა დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეებზე. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველკლასელთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა მშობლებთან/მეურვეებთან ჯერ კიდევ ჩარიცხვამდე ხდება ინფორმაციის გაზიარება. სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ, კი, დამრიგებლები, სხვადასხვა აქტივობებით სწავლის დაწყების მომენტიდან იწყებენ მოსწავლეთა ადაპტაციას. დაწყებითი კლასის დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით, ცდილობენ შეუმსუბუქონ მეოთხეკლასელებს ემოციური ფონი მე-5 კლასში გადასვლასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობლებთან კომუნიკაციის წესში გაწერილია, რომ მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს სმს-ი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან დ ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა და ამისთვის სკოლა არის ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმები. უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძიება ეწყობა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. მაგ. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა მზადაა მიიღოს მოსწავლეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და

უკუკავშირის შესაბამისობის შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში. ყოველთვის გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილი მეორე უცხო ენის არჩევის და არჩევითი საგნების შერჩევის დროს. აგრეთვე, არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების შერჩევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

რემედიაციის გრძანება N2-24 27.03.2025

რემედიაციის დანართი

ტრანზიციის გრძანება 2025 წლის 10 აპრილის გრძანება N2-35

ტრანზიციის დებულება

გრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ

მოსწავლეთა ადაპტაციის დანართი

ისგ ჯგუფის შექმნის გრძანებები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი

ექსკურსიის განაცხადი

მშობელთა კრების ოქმი მეხუთე კლასში მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ

სადამრიგებლო პროგრამა

სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 სასწ.წ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში დამრიგებლების მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის საკითხებს, მაგრამ, ამ ეტაპზე, სკოლა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას ვერ ახორციელებს, თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა აორგანიზებს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ მომავალი პროფესიის შერჩევისას. მოსწავლეები ესწრებიან სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილ ონლაინ-შეხვედრებს, შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან საბაკალავრო პროგრამებს, საგრანტო შეთავაზებებს, სტუდენტურ ცხოვრებასა და შესაძლებლობებს. იღებენ ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საინტერესო პროექტების შესახებ. ხოლო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღია კარის დღეზე დიდი ინტერესით პირისპირ შეხვედრაზე სტუმრობენ. სკოლაში ყოველი სასწავლო წლის გაზაფხულზე ვიზიტს ახორციელებენ თავდაცვის სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები. სკოლას მომდევნო სასწავლო წელსაც გათვალიწინებული აქვს გააგრძელოს ასეთი ტიპის შეხვედრები მოსწავლეებში ცნობიერების ასამაღლებლად პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში ვიზიტისას, სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუში გაირკვა, რომ სკოლა აპირებს თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილება სხვადასვა აქტივობებით. სკოლა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, აპირებს განახორციელოს მოსწავლეთა გამოკითხვა შეფასების კითხვარების საშუალებით. სკოლა უწყობს მოსწავლეებს შესაბამისი სფეროს პროფესიონალებთან შეხვედრებს. აგრეთვე მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება ჩატარდეს სკოლადამთავრებული მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა პროფესია აირჩია და როგორ დაეხმარა მას სკოლა პროფესიის არჩევაში.ი**ნდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფოსტაზე შემოსული შეხვედრების წერილები
სასკოლო სასწავლო გეგმა
სკოლის სოციალური გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმი. სკოლაში შემუშავებულია სსსმ განვითარების გეგმა. არსებობს მშობელთა განცხადებები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები, ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ისგ გეგმები, სსსმ მოსწავლეთა რესურს ოთახით სარგებლობის ცხრილი. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლეთათვის და მათი დამუშავების ეტაპები. სკოლას 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესები. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის

უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ამიტომ სკოლას გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, აქვს პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული სანიტარული კვანძი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სკოლის სასკოლო საზოგადოება. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება ის, რომ ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. აღნიშნულით დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა
ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები
ისგ ჯგუფის ოქმები
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი
სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში
ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   2023-2024 სასწავლო წელს სკოლა რეაბილიტაციის გამო გადავიდა ალტერნატიულ ფართში 2024 წლის დეკემბრამდე, რის გამოც ვერ მოხერხდა მოსწავლეთათვის დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა აპირებს მოსწავლეთათვის დამატებითი სერვისების შეთავაზებას, სკოლის სააქტო დარბაზის, სპორტ დარბაზის და ბუფეტის იჯარით გაცემას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა არ ხორციელდება. რადგან სკოლა ახალ შენობაში დაბრუნდა 2024 წლის დეკემბრის ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა არ ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☒ **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება**

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნათელია, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმის მეთოდოლოგიის დახვეწაზე და კათედრებს აქვთ მზაობა, რომ ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით, მკაფიოდ განსაზღვრონ ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში, როგორია კურიკულუმის შემუშავების პროცესის დიზაინი და მისი რეალიზების დრო და სივრცე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმში, სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმათლებლო პროექტში ძირითადად გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა, გათვალისწინების მზაობა და კურიკულუმში ასახვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების/განვითარების პროცესში, აქტიურად არის სასკოლო საზოგადოება თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მათ აქვთ მზაობა, რომ განავითარონ ის ინსტრუმენტები, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კათედრის ოქმები;*
- *პედსაბჭოს ოქმები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით.ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. ესურსების მრავალფეროვნება, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას მარტივად მოახერხონ სამიზნე მცნებებზე გასვლა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგთა მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გარდა ამისა, გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, წარმოდგენილია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების იდეები.
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე. შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც შექმნილია მათი ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ინტერვუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარებისა და მასწავლებლის თვითრეფლექსიაზე მუშაობის მიმართულებითაც. **რჩევა:** სასურველია, რომ **<u>სამივე საფეხურზე,</u>** პირველ და მეორე უცხოურ ენებში, განხორციელდეს მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს მოახდინონ მოსწავლეთა შედეგების შეფასება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოკვეთონ მათი საჭიროებები და გაანალიზებული საჭიროებების საფუძველზე, დაგეგმონ რელევანტური აქტივობები და შეიტანონ საგნობრივ კურიკულუმში.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმები წარმოადგენს პროცესზე ორიენტირებულ პროგრამის გზას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს,თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს

	მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. აღნიშნული დოკუმენტით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით, შერჩეულია მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლოპროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლებას.
მათემატიკა	მათემატიკის საგნის კურიკულუმ(ებ)ი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის, მათემატიკის სტანდარტის მიზნების გათვალისწინებით და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს შემოქმედებითი პროდუქტის სახის დავალებებზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები, რაც ემსახურება ღრმა და ფუნქციური ცოდნის ჩამოყალიბებას. მოსწავლეს აძლევს საშუალებას განვითარდეს ინდივიდუალურად, გამოხატოს თავი და განივითაროს ის უნარები, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია განსაზღვრული როგორც სწავლის საბოლოო მიზანი.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზას, დაგეგმილია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა**: სასურველია <u>**სამივე საფეხურის კურიკულუმებში**</u> გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები დამუშავებულია სტანდარტების შესაბამისად.სამიზნე მცნებები და ქვემცნებები ჩამოყალიბებულია ლოგიკური ურთიერთ დაკავშირებით. აც აღქმის და დამახსოვრების კარგი საფუძველია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გამოყენებულია ქვეცნებები, საფეხურის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.
უცხოური ენები	დაგეგმილი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, შერჩეულია თემები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი მიმართონ გრძელვადიან შედეგებს, ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. **რჩევა:** სასურველია, რომ <u>**სამივე საფეხურზე,**</u> პირველ და მეორე უცხოურ ენებში, კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რათა მოხდეს მათ შორის არსებული კორელაციის დემონსტრირება. კერძოდ, 1. წარმოდგენილ კურიკულუმში წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი). 2. გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს მკაფიო და ზუსტი. 3. სრულყოფილად იყოს ასახული შემოქმედებითი პროდუქტის დავალების პირობა და ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ კურიკულუმებში სრულყოფილად მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნება-ქვეცნებები. კარგად ჩანს,რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. შემოქმედებითი პროდუქტის სახით წარმოდგენილ დავალებები კი იძლევა ფუნქციური უნარების განვითარების შესაძლებლობებს.
სახელმწიფო ენა	ემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები; სასწავლო მასალა ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, შერჩეულია მრავალფეროვანი შუალედური დავალებები შესაბამის სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით.

მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმების სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა პირდაპირ უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **რჩევა: <u>(დაწყებითი)</u>** სასურველია, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში ზუსტად იყოს დატანილი ინფორმაცია. კერძოდ III კლასის მათემატიკის კურიკულუმში დაკორექტირდეს „კონტექსტ-მაგალითის“ შესაბამისი სვეტი, ასევე გადაიხედოს თემა „გეომეტრიული ფიგურების“ შესაბამისი სამიზნე ცნება/ქვეცნებების ველი და შეივსოს იმ ცნებებით/ქვეცნებებით, რომლებიც კონკრეტული საკითხის განხილვისას მუშავდება.
სპორტი	კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები; ასევე, წარმოდგენილია პრაქტიკული ტიპის დავალებები; სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება.
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ–უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს , მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს, დაგეგმილია შუალედური მიზნები. **<u>რჩევა: დაწყებითი -</u>** ბუნების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა შესაბამის რესურსებზე. სკოლას აქვს თანამედროვე ბიოლოგია - ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, დამხმარე სათავსოებით. ლაბორატორიაში და დამხმარე სათავსოებში დამონტაჟებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ერთიანი გამწოვი და სავენტილაციო სისტემები, ლაბორატორიებში არის ოთხ-ოთხი და ორ-ორი ხელსაბანი მასწავლებლის დამხმარე სათავსოებში, ხელსაბანზე დამონტაჟებულია თვალების ამოსარეცხი. ლაბორატორიებში არის თითო ლეპტოპი. კედლებზე განთავსებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი, თვალსაჩინოებები. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში აქვთ: ბრტყელძირიანი კოლბები, მრგვალძირიანი კოლბები, ფაიფურის ძაბრები, სპირტქურა, მინის მილები, პიპეტები, სინჯარები, შტატივი, მინის გაზგამყვანი მილები, მინის ფირფიტები, მინის დანაყოფებიანი ჭიქა, ბიურეტები, მიკროსკოპი. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვილობა აკმაყოფილებს კურიკულუმით და ესგ-თი განსაზღვრულ მოთხოვნებს, თანამედროვე სტანდარტებს და მზად არის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ჩასატარებლად. ფიზიკის დამხმარე სათავსოში, კარადებში, განთავსებულია კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად საკმარისი რესურსები, აპარატურა და ხელსაწყოები: მაგნიტი, რეოსტატი, ელექტრომეტრი, ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, ბერკეტიანი სასწორი, დინამომეტრი, მოდელი: გრეხვის, ღუნვის, გაჭიმვისა და კუმშვისათვის. დამხმარე რესურსად იყენებენ დავით სონღულაშვილის ვირტუალურ ლაბორატორიასაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში უხვადაა წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, თითოეული მათგანი საინტერესოა, საკითხზე ორიენტირებული და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგის მიღწევას.
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და ძირითადი სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა მოწმობს,რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მოსწავლის ასაკის ,ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით.. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დამატებით რესურსებს, მათ შორის ელექტრონულს.. ყოველივე შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: **<u>სამივე საფეხურზე</u>** სასურველია კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად (გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალა, სასარგებლო ბმულები) და ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, თამაშზე დაფუძნებული ელ. რესურსები და სხვა.). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **რჩევა:** **<u>(დაწყებითი</u>**) სასურველია, მათემატიკის II და VI კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა**: სასურველია, **<u>დაწყებითი საფეხურის</u>** 1-4 კლასების კურიკულუმებში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შდეგების მიღწევას.

	რჩევა: სასურველია კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს ყველა ის დამატებითი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყოველმხრივ მზად არიან,რომ სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური და გააზრებული და გათვალისწინებული აქვთ ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა რომელსაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ კარგად ესმით რამდენად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური . მათ გამოკვეთეს ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელსაც სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. დაგეგმილ აქტივობებში, ინდ.გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში, შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირებული ვარიანტები. წარმოდგენილი ინდგეგმები მიანიშნებს იმაზე, რომ მასწავლებლებს აქვთ წარმატებული პრაქტიკა ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებასთან მიმართებით. **<u>რჩევა</u>:** სასურველია, რომ **<u>სამივე საფეხურზე,</u>** პირველ და მეორე უცხოურ ენებში, დაიხვეწოს მოსწავლეთა მზაობისა და ინტერესების მიხედვით შექმნილი დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები და მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანი, რომ მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობების ნაცვლად, თავად აირჩიონ კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმა, დავალების ტიპი ან ამ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო.

ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგენა სწავლების დიფერენცირებული მიდგომების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებშიც ნათლად იკითხება თითოეული მოსწავლის ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათვის წარმოდგენილ ადაპტირებული კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით .
სახელმწიფო ენა	პედაგოგები იცნობენ და ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, სსსმ მოსწავლეთათვის შექმნილია ისგ, რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული ადაპტირებული დავალებები შუალედური მიზენების სახით. □ანს, რომ პედაგოგი კარგად იცნობს მოსწავლის საჭიროებებს და სთავაზობს მის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებულ სამუშაოს შესაბამისი ვიზუალური მასალით.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. განსაკუთრებით გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლებისას იყენებენ ადაპტირებულ მასალებს, ვერბალურ და ვიზუალურ მხარდაჭერას, გაძლიერებულ ინსტრუქციებსა და ეტაპობრივ დავალებებს. ინტერვიუდან ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესშიც გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე და მოცულობა მორგებულია სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებზე. სასწავლო გარემო ხელს უწყობს კომფორტულ, მხარდამჭერ ატმოსფეროს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობას.
სპორტი	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. □ედაგოგები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. □ასწავლებლები □თავაზოვენ ბავშვებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ვარჯიშების განსხვავებული რაოდენობით ან ტემპით შესრულებას.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებში ნათლად ჩანს სწავლების მრავალფეროვანი, დიფერენცირებული მიდგომები. სსსმ მოსწავლეებისათვის წარმოდგენილ ადაპტირებული კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან, და ისეა შემუშავებული, რომ ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის სრულფასოვნდ წარმართვას
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი იყენებენ მრავალფეროვან შეფასებას, მაგალითად არის როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ისე განმასზღვრელი შეფასების რუბრიკები. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მასწავლებლებმა იციან, მაგალითად, SOLO ტაქსინომიით შეფასების მეთოდი, რამდენიმე კლასში არის მოცემული ცნებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. უმჯობესი იქნებოდა ყველა საგანსა და ყველა კლასში შექმნილიყო სწორედ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტებში და სასწავლო პროცესში დაგეგმილ გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. <u>რჩევა:</u> სასურველია, რომ <u>სამივე საფეხურზე,</u> პირველ და მეორე უცხოურ ენებში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, ნათლად აისახოს კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც , თავის მხრივ დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დაეფუძნოს ეროვნული

	სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და ნათლად დააკონკრეტოს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. 2. სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, პირველ და მეორე უცხოურ ენებში, კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზნებზე მიმართული ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელიც კვლავ თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება,რომ სწავლება და შეფასება წარმოადგენს მთლიან, ერთმანეთისგან განუყოფელ პროცესს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეფუძვნება გრძელვადიან მიზნებს და საგნობრივ მეთოდურ ორიენტირებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე. **<u>რჩევა:</u>** **<u>სამიცე საფეხურზე</u>** სასურველია კათედრა შეიმუშავოს განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კონკრეტულ საკითხთან/საკითხებთან მიმართებაში ,სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებების შესაბამისად **<u>რჩევა: სამივე სფეხური</u>** სასურველია ესთეტიკური აღზრდის კათედრამ , სკოლის მიერ შემოთავაზებულ მოსწავლეთა შეფასის სიტემაში უპირატესობა მიანიჭოთ არა საშინაო, არამედ მიმდინარე საკლასო, და შემაჯამებელი დავალებებს
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მორგებულია კურიკულუმით დაგეგმილ კონკრეტულ დავალებებზე , შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს და შესაბამისად, ხელს უწყობს იმის განსაზღვრას, თუ რა უნდა გაეკეთებინა მოსწავლეს, რა გააკეთა და რა აქვს გასაუმჯობესებელი. სასურველია, სკოლამ სამომავლოდ დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასების პრაქტიკა.
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე, კრიტერიუმებზე, რაც ზრდის პროცესის სამართლიანობასა და

	სანდოობას. მოსწავლე იცის, რას, როდის და როგორ აფასებენ. სსსმ მოსწავლეებისთვისაც ისგ-ში გაწერილი აქვთ შეფასება და მოსწავლის პროგრესის შეფასებაც. **რჩევა: <u>(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)</u>** სასურველია, რომ სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვისას წინასწარვე შეიქმნას შეფასების რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით და ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **<u>რჩევა: დაწყებით საფეხურზე</u>** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებულიიქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო-სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა;*

- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრების ოქმები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინკლუზიური განათლების პროგრამა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;*
- *განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *დიფერენცირებული სწავლების გაკვეთილის გეგმა;*
- *რემედიაციის დებულება;*
- *ისგ-ს შექმნის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა(ისგ ჯგუფის ოქმები);*
- *შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუშები და მოსწავლეთა ნამუშევრები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში სრულიად არის გათვალისწინებული სასკოლო კურიკულუმი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ისინი ითვალისწინებენ კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხებს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია სხვადასხვა რესურსი და მეთოდი, რომლებიც შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მიმართულებებს.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემები, საკითხები აქტივობები,შესაქმნელი პროდუქტი განაპირობებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მათში აქცენტი გაკეთებულია ცოდნის კონსტრუირებაზე,წინარე ცოდნაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვაზე, ცოდნათა ურთიერთკავშირზე.საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილი კურიკულუმის მიხედვით, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ჩაერთონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში საკმაოდ მრავალფეროვანი დავალებების საშუალებით . □აქტიურად ,სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური ტიპის დავალებებით , რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საგნობრივი საკითხები დამუშავდეს სიღრმისეულად და ამავე დროს მაღალი იყოს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის დონე.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას.

	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **რჩევა:** **(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)** სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **რჩევა:** **(საბაზო, საშუალო)** სასურველია, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას ჩაერთოს მოსწავლეებიც; ეს გაზრდის მოტივაციას და დაეხმარება მოსწავლეებს სასწავლო მიზნების უკეთ გაცნობიერებაში.
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლება იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გონივრულად რეაგირებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ახდენს კურიკულუმის კომპონენტების ადაპტაციას კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. სკოლა მიმართავს მოქნილ მიდგომებს, მათ შორის განსხვავებულ ინსტრუქტაჟს, განმავითარებელ შეფასებას და დამატებით აქტივობებს. ასევე დასტურდება პრაქტიკა, როდესაც ცვლილებების შემთხვევაში, მაგ., ახალი მოსწავლეების საჭიროება და სხვ. სკოლა ახდენს სწავლების გეგმების გადახედვას და შესაბამისი ღონისძიებების დანერგვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა, აბსოლუტურად ვალიდურია, გამჭირვალე სანდო და ობიექტურია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები. ისინი ნამდვილადაა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა საკუთარი გამოცდილების გაანალიზებაზე დაყრდნობით შეიმუშავოს შეფასების გამჭვირვალე და მოქნილი სისტემა. შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებში ასახულია ის საკვანძო საკითხები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემურ ხედვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შეიმუშავებული შეფასება, რა პრინციპითაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი და რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს და სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს. **რჩევა:** სასურველია, რომ <u>**სამივე საფეხურზე,**</u> პირველ და მეორე უცხოურ ენებში, შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, დეტალურად აღიწეროს ზუსტად ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. ნათლად იყოს ასახული თუ რა მოლოდინია

	მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით და განისაზღვროს რამდენად სწორადაა შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების პრინციპები და მეთოდები, შეფასების ტიპები და აკადემიური მიღწევების დონეები ასახავს შეფასების სისტემის ვალიდურობას. დოკუმენტაციაში ასახული შეფასების რუბრიკებში ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი.სკოლაში დამკვიდრებული შეფასების კრიტერიუმების და შეფასების კომპონენტების წინასწარი გაცნობის პრაქტიკა მოსწავლეთა ცოდნის მობილიზაციის მიზნს ემსახურება,რაც უზრუნველყოფს გამჭირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას; **რჩევა:** **<u>(დაწყებითი, საბაზო)</u>** შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
სახელმწიფო ენა	სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (მოსწავლეთა თვითშეფასება , ურთიერთშეფასება , მასწავლებლის შეფასება) , სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, დაკონკრეტებულია კურიკულუმში გაწერილი დავალებებთან მიმართებაში, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ობიექტური და გამჭვირვალე იყოს სასწავლო მიზნები და შედეგები .
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე და კრიტერიუმებზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. **რჩევა:** **<u>(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)</u>** სასურველია, რომ სასწავლო წლის ან სემესტრის დაგეგმვისას მასწავლებლებმა წინასწარ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ იქნება მიბმული სასკოლო კურიკულუმში გაწერილ თემებზე. რეკომენდებულია, რომ ეს რუბრიკები შეესაბამებოდეს

	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, შეიცავდეს კონკრეტულ ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებს.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ შეფასება არის გამჭვირვალე, ვალიდური, სამაღტლიანი, ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი - სიტყვიერი ზეპირი და წერილობითი კომენტარი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები , ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. **რჩევა: <u>დაწყებით საფეხურზე</u>** სასურველია , რომ შეფასების რუბრიკები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შემუშავებული აქვს 2025 წლის 28 მარტის 2-27 ბრძანებით .ეს დოკუმენტი ამოქმედდება 2025-2026 სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, მასწავლებლები სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არქივზე პასუხისმგებელი პირისათვის გადაცემას, რომელიც

სათანადოდ აღრიცხავს და ინახავს არანაკლებ 3 წლის განმავლობაში. დოკუმენტაცია ინახება სკოლის პირად საქმეებში და შეფასების ელექტრონულ სისტემაში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო-სასწავლო გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინკლუზიური განათლების პროგრამა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *კომპლექსური დავალებების ნიმუშები;*
- *ურთიერთასწრების ოქმები, ამსახველი მასალა (რეფლექსია, კოლეგის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია;*
- *განხორციელებული პროექტის გეგმა;*
- *შესრულებული პროექტის დამადასტურებელი მასალა;*
- *მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი დავალებები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რსურსებს, აქვთ მოწყობილი სალაბორატორიო სივრცეები რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტებს, ელოდებიან დამატებით ინვენტარს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესი იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში ნამდვილადაა ამის შესაძლებლობა, ყველანაირი პირობა აქვთ ამისთვის შექმნილი.
უცხოური ენები	კურიკულუმში განსაზღვრულია ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესრსები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით
ესთეტიკური აღზრდა	საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად გამოიყენება სხვადასხაგვარი რესურსების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატები, მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სხვა დამატებით რესურსებსაც, როგორებიცაა მასწავლებელთა სახლისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული დამხმარე მასალები.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, მორგებუბულია მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და საჭიროებებზე , ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. და ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში (ძირითადი და დამხმარე მასალა, მიზნობრივად შერჩეული მრავალფეროვანი ინტერნეტრესურსები).
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები და ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაფუძნებული ამოცანები.

	ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. **რჩევა:** **(დაწყებითი)** სასურველია, რომ მათემატიკის II და VI კლასის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევის კულტურას.

სპორტი	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსები, საგანმათლებლო პლატფორმები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ითვალისწინებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, კათედრის მიერ შეირჩევა სასწავლო რესურსები. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იმას, თუ სასწავლო რესურსები რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ამის შემდეგ ირჩევენ მათ.
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსი ვალიდირებულია სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ძირითად რესურსებთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსით. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება

	კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით.
სახელმწიფო ენა	ურიკულუმებში ძირითად მასალასთან ერთად წამოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე მასალა, რომელიც შერჩეული და შეთანხმებულია კათედრის შეხვედრებზე. სასწავლო პროცესში ხდება მისი მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი (10.09.2024) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა თემა: *"სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, განხილვა"*. სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **რჩევა: <u>(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)</u>** ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება, სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა შესაბამის რესურსებზე. სკოლას აქვს თანამედროვე ბიოლოგია - ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, დამხამრე სათავსოებით. ლაბორატორიაში და დამხმარე სათავსოებში დამონტაჟებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ერთიანი გამწოვი და სავენტილაციო სისტემები, ლაბორატორიებში არის ოთხ-ოთხი და ორ-ორი ხელსაბანი მასწავლებლის დამხმარე სათავსოებში, ხელსაბანზე დამონტაჟებულია თვალების ამოსარეცხი. ლაბორატორიებში არის თითო ლეპტოპი. კედლებზე განთავსებულოა ლაბორატორიით სარგებლობის წესი, თვალსაჩინოებები. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში აქვთ: ბრტყელძირიანი კოლბები, მრგვალძირიანი კოლბები, ფაიფურის ძაბრები, სპირტქურა, მინის მილები, პიპეტები, სინჯარები, შტატივი, მინის გაზგამყვანი მილები, მინის ფირფიტები, მინის დანაყოფებიანი ჭიქა, ბიურეტები, მიკროსკოპი. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭუვილობა აკმაყოფილებს კურიკულუმით და ესგ-თი განსაზღვრულ მოთხოვნებს, თანამედროვე სტანდარტებს და მზად არის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ჩასატარებლად. ფიზიკის დამხმარე სათავსოში, კარადებში, განთავსებულია კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად საკმარისი რესურსები, აპარატურა და ხელსაწყოები: მაგნიტი, რეოსტატი, ელექტრომეტრი, ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, ბერკეტიანი სასწორი, დინამომეტრი,

	მოდელი: გრეხვის, ღუნვის, გაჭიმვისა და კუმშვისათვის. დამხმარე რესურსად იყენებენ დავით სონღულაშვილის ვირტუალურ ლაბორატორიასაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, სკოლაში ნამდვილადაა შესაძლებელი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით, ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა საჭირო რესურსზე.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით,აუდიო და ვიდეო საშუალებებით. კომპუტერი,პროექტორი , მუსიკალური ცენტრი, ხმის გამაძლიერებელი და სხვა ელექტრონულ რესურსები ხემისაწვდომია სასკოლო გარემოში და მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე.
სახელმწიფო ენა	მოსწავლეებს აქვთ საშუალება, სწავლის პროცესში გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და ტექნოლოგიები. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა ხელმისაწვდომობას ინკლუზიურ მასალებზე.
მათემატიკა	მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, მოძრავი პროექტორი, სივრცული ფიგურები, სხვადასხვა თემატური პლაკატები, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. თვითშეფასების კითხვარში ასევე ვკითხულობთ, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების მოზიდვასა და განახლებაზე. კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და სასკოლო ბიბლიოთეკაზე წვდომა კი წინასწარ განსაზღვრული წესით აქვს ყველა მოსწავლეს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლას აქვს ტანვარჯიშული ლეიბი, ტანვარჯიშული სკამი, კალათბურტის ფარები, ფრენბურთის ბადე, ნიშნულები, ბურთები და სხვ.

	რჩევა: სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, ასევე, მცირე ზომის ბურთები (მაგ., ჩოგბურთის ვურთები), რომ ხელს შეუწყობს უფრო მეტი განსხვავებული ვარჯიშების წარმართვას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***სასკოლო-სასწავლო გეგმა;***
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;*
- *კლასის ხელმძღვანელის დებულება;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინკლუზიური განათლების პროგრამა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *კათედრის ოქმები;*
- *დამატებითი რესურსების სია;*

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *მასწავლებელების პირადი საქმეები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, რამდენად დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობს პროცესები (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.კურიკულუმის მონიტორინგის ეტაპი ცხადყოფს პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს თუ არა მოსწავლეების მიერ ფორმირებული სწავლის შედეგების მიღწევას. მონიტორინგი გვეხმარება გაანალიზებაში - არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლები აკეთებენ განხორციელებული შეფასებების ანალიზს, სადაც გამოკვეთილია მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები. კერძოდ, აფასებენ კონკრეტული აქტივობით მიღწეულ იქნა თუ არა მათ მიერ დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. სკოლაში ხორციელდება მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებზე ხდება დეტალური მოკვლევა, ინფორმაციის შეგროვება. საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების დახმარება და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა. თუ გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება მისი მოდიფიცირება და ხელახალი გზების ძიება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კერძოდ, თითოეული მასწავლებელი სასწავლო წლის მანძილზე ახორციელებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს, გამოკვეთს გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავს მისი გაუმჯობესების გზებსა და გაუმჯობესების ვადებს. ხოლო აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ კვლავ ახდენს მონიტორინგს თუ რამდენად მოხდა მის მიერ გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სკოლის სასწავლო გეგმა;*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე , მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), ეს მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით, მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ შეფასების მონაცემების შეგროვების სისტემა დააფუძნონ ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას. მოახდინონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით, მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავებისას

გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე. შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია, სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხვით, დაკვირვებით, ინტერვიუს ფორმით. მონაცემთა შეგროვება ასევე ხდება ინტერვიუების მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური. გარდა ამისა, გამოიყენება მეთოდები, რომლებიც კვლევაში მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა. მაგ., დაკვირვება და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მასწავლებლები შეფასების სისტემის შემუშავებისას სხვადასხვაგვარ მრავალ ფაქტორს ითვალისწინებენ: მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, სოციო-ემოციური ფონს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. საგნის შინაარსის ათვისების, აზროვნების, დასაბუთების და კომუნიკაციის ზოგად უნარ-ჩვევებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო-სასწავლო გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა,*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შეფასების რუბრიკები,*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რაც გულისხმობს ისეთი მექანიზმის არსებობას, რომელიც უწევს მონიტორინგს კურიკულუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, რომელიც ხორციელდება მასწავლებლების და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობით. აქცენტი გაკეთდება განხორციელებული აქტივობების ხარისხზე, მოხდება მისი გადახედვა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გაუმჯობესება. მიღებული რეკომენდაციები განიხილება კათედრებზე და შესაბამისად მოხდება საჭიროებათა პაკეტის გაუმჯობესება მომავალი სასწავლო წლისთვის.

კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;

კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის გადამუშავების. სკოლა ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას აქვს საგნობრივი კურიკულუმების გამოყენების პრაქტიკა. წლის ბოლოს კათედრებზე იხილავენ, როგორ იმუშავა მთელი წლის განმავლობაში კურიკულუმში გაწერილმა აქტივობებმა. ბოლოს ახდენდნენ მათ შეფასებას, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, რამ იმუშავა კარგად და რა საჭიროებდა დახვეწას და შეცვლას. კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით 2024-25 წლისთვის გამოიყენეს თანამედროვე ჩარჩოები.

სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებებს მიიღებენ მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სასწავლო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 22.07.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ფუტკარაძე